


**ASOCRET-BIS-5/40**

 SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstraße 2-8 D-32760 Detmold 16 206438	
DIN EN 1504-3 ASOCRET-BIS-5/40 ბეტონის შემცველი სტრუქტურული და არასტრუქტურული რემონტისთვის EN 1504-3 ZA 1a	
შეკუმშვის ძალა:	R4
ქლორიდის იონების შემცველობა:	≤ 0.05%
წებოვნება:	≥ 2.0 N/mm <sup>2</sup>
შეზღუდული შეკლება/გაფართოება NPĐ	
მდგრადობა ტემპერატურის ცვლადობისადმი, ნაწილი 1:	≥ 2.0 N/mm <sup>2</sup>
წყლის კაპილარული აბსორბცია:	≤ 0.5 kg x m <sup>2</sup> x h <sup>0.5</sup>
მდგრადობა კარბონიზაციისადმი:	ტესტირება გაიარა
E-მოდული:	≥ 20 Gpa
რეაქცია ცეცხლზე:	Euroclass A1
გამძლეობა:	NPĐ

NPĐ = მუშა მახასიათებლები არ არის დადგენილი

- წყალგაუმტარი
- წყლის ორთქლგაუმტარი
- მდგრადია ყინვისა და ყინულსადნობი მარილებისადმი
- აფერხებს CO<sub>2</sub>-ის შეღწევას
- მაღალმდგრადობა კარბონიზაციისადმი
- გამოიყენება ქაფით და გაფრქვევით

ASOCRET-BIS-5/40 წარმოადგენს სისტემურ კომპონენტს და გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ASOCRET-KS/HB-თან ერთად.

**ASOCRET-FM40/INDUCRET-BIS-5/40**

ნაწილაკების ზომა:	2 მმ-მდე
მოცულობითი სიმკვრივე:	1.6 კგ/დმ <sup>3</sup>
სველი სიმკვრივე:	2.1 კგ/დმ <sup>3</sup>
ექსპლუატაციის ვადა:	დაახლ. 60 წთ +20°C ტემპერატურაზე
გალესვა	მინ. 1 დღის შემდეგ
გამოყენების ტემპერატურა:	+5°C-დან +30°C-მდე
შეკუმშვის ძალა*:	24 სთ დაახლ. 14 N/mm <sup>2</sup>
	7 დღე დაახლ. 50 N/mm <sup>2</sup>
	28 დღე დაახლ. 60 N/mm <sup>2</sup>
დაფარვა წყალგაუმტარი მოსაპირკეთებელი გარსებით / ფილებით:	დაახლ. 24 სთ
მოხმარება:	დაახლ. 1.8 კგ/მ <sup>2</sup> /მმ სისქის
დასუფთავება:	გამოყენების შემდეგ იარაღები კარგად გარეცხეთ წყლით
შეფუთვა:	25 კგ ტომარა
შენახვა:	12 თვე თუ ინახება გაუსხნელი შეფუთვით მშრალ და გრილ, >+10°C პირობებში

\*) +23°C და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებში. კლიმატური და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მოცემული ვადები შეიძლება იყოს უფრო ხანგრძლივი ან ხანმოკლე.

**გამოყენების სფეროები:**

INDUCRET-BIS-5/40 გამოიყენება დეფორმაციის საწინააღმდეგო, კონტურული დამუშავების ცემენტის ხსნარი ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და ზედა ზედაპირებზე წარმოქმნილი, 40 მმ-მდე ზომის დეფორმაციების გასწორების მიზნით. ასევე, გამოიყენება მოსასწორებელი ხსნარის

სახით საცურაო აუზებსა და ავზებში, ასევე, აუზის კიდეების დეტალების ფორმირებისთვის, რომლებზეც შემდეგ წყალგაუმტარი მასალა ან ფილა იგება.

### **სუბსტრატის მომზადება**

დაცემენტებული ზონებზე არ უნდა იყოს ცემენტის რძე, უცხო ნაწილაკები, ასევე, ისეთი ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ დაწებების ხარისხის გაუარესებას, მაგალითად, გამაცალკეველები ნივთიერებები, მტვერი, ცემენტის რძის შრები და ა.შ. პროექტის გათვალისწინებით, სუბსტრატი მომზადებული უნდა იქნას, მაგ.: ჭავლური დამუშავებით, წყლის მაღალწნევიანი ჭავლით (500 – 2000 ბარი) და აშ. მომზადებულ სუბსტრატს უნდა ჰქონდეს ღია ტექსტურისანი ზედაპირის სტრუქტურა. დამუშავებული სუბსტრატი წინასწარ დაასველეთ საკმარისად, ASOCRET-BIS-5/40 წასმამდე 24 საათით და, ასევე, 2 საათით ადრე, რომელიც ხსნარის დასხმამდე უნდა დაინამოს. არმატურის ფოლადი დამუშავებული უნდა იქნას ანტიკოროზიული საშუალებით - ASOCRET-KS/HB (იხ. მოთხოვნები ტექნიკურ სპეციფიკაციებში).

ცემენტის სუბსტრატის ვარგისიანობის მინიმალური ვადა:

28 დღე

ცემენტის სუბსტრატის წებოვანების ძალა დაჭიმვისას: მინ. 1.5 N/mm<sup>2</sup>.

### **პროდუქტის მომზადება:**

თითოეული 25 კგ ASOCRET-BIS-5/40 პროდუქტისთვის საჭიროა დაახლოებით 3.5 – 3.75 ლ წყალი. თავიდან დაასხით დაახლოებით 2.8 – 3.0 ლ წყალი/25 კგ ASOCRET-BIS-5/40 და აურიეთ ფხვნილში დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში. შემდეგ დაასხით დანარჩენი წყალი და კიდევ ურეთ 2 წუთის განმავლობაში ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე. უფრო დიდი რაოდენობების მორევის დროს უმჯობესია ბეტონშემრევი მიქსერის გამოყენება. შეურიეთ მხოლოდ იმდენი მასალა, რამდენიც შეიძლება გამოყენებული იქნას 60 წუთის განმავლობაში.

### **მანუალური გამოყენება:**

ASOCRET-BIS-5/40 გამოიყენება მინერალურ წებოვან საშუალებასთან - ASOCRET-KS/HB - ერთად. ASOCRET-KS/HB ფუნჯით წაუსვით მომზადებულ დანამულ სუბსტრატს სრულ დაფარვამდე და ზედაპირული ფორების ამოვსებამდე. წაუსვით ASOCRET-BIS-5/40 სარემონტო ხსნარი საჭირო სისქეზე, ვიდრე წებოვანი ნივთიერება ჯერ კიდევ სველია. შემდეგ, დატკეპნეთ ცემენტის ხსნარი, შემდეგ კი ზედაპირი მოასწორეთ. დიდ ზონებზე გამოყენებისას ერთი ფენის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 20 მმ-ს. უკეთესი ხარისხისთვის რეკომენდებულია ფენებად დადება. ალტერნატივის სახით, 40 მმ-მდე სისქის ერთი ფენის მიღება შესაძლებელია გაფრქვევის მეთოდით.

### **სველი გაფრქვევის მეთოდი:**

სველი გაფრქვევის მეთოდის გამოყენებისას მინერალური წებოვანი ნივთიერება შეიძლება აღარ გამოვიყენოთ. დაახლოებით ASOCRET-KS/HB ანტიკოროზიული საშუალების 2 ფენა ASOCRET-BIS-5/40 ცემენტის ხსნარის წასმამდე მინიმუმ 72 საათით ადრე სველი გაფრქვევის მეთოდით.

სუბსტრატი ნამიანი უნდა იყოს ASOCRET-BIS-5/40-ის წასმისას. რეპროფილირება სველი გაფრქვევით ხდება მასალის მიქსერით მორევის შემდეგ, შესაფერისი მიმწოდი ტუმბოთი და MAWO მფრქვევანას გამოყენებით. თანაბარი გაფრქვევის მისაღწევად სავალდებულოა მაღალი წარმადობის კომპრესორის გამოყენება (მინ. 4 მ<sup>3</sup> ჰაერი/4-5 ბარი - ოპერაციული წნევა).

### **მიქსერის გარეშე:**

#### **ტუმბოს სისტემა: High Comp Power**

ტუმბოს დანადგარი: XP 120

წყალი: დაახლოებით 190-200 ლ/სთ

თავსაცვი: MAWO თავსაცვი 35/12 მმ

შლანგის მაქს. სიგრძე: 30 მ

თავსაცვის საკონტროლო მანძილი: 0.5 – 1.0 მ

#### **PFT ტუმბოს სისტემა:**

Multi Mix იძულებითი მიქსერი

კონვეიერული ტუმბო N2FU400/screw feed (ხრახნული მოწოდება) D8-1.5

რეპროფილირების თავსაცვი 35/12 მმ

(რეპროფილირება გაფრქვევის მეთოდით)

შლანგის მაქს. სიგრძე: 30 მ

თავსაცვის საკონტროლო მანძილი: 0.5 – 1.0 მ

#### **Inotec ტუმბოს სისტემა:**

Inomix იძულებითი მიქსერი ZM80 Jet Mix (ჰავლური მორევა)

Inobeam F21 light/screw feed (მსუბუქი/ხრახნული მოწოდება) D8-1.5

ცემენტის ხსნარის შლანგი, 25 მმ დიამეტრით

რეპროფილირების თავსაცვი 35/12 მმ

(რეპროფილირება გაფრქვევის მეთოდით)

შლანგის მაქს. სიგრძე: 30 მ

თავსაცვის საკონტროლო მანძილი: 0.5 – 1.0 მ

### **მასალის გამოყენების წესი:**

გასაფრქვევ თავსაცვში შეკუმშული ჰაერის შეშვების შედეგად მასალა თავსაცვიდან გამოდის თანაბარი წრიული სახით. პირველი გაფრქვევის საფარის დადებისას შევსებული და მოსწორებული უნდა იქნას ღრუები, არმატურის მიღმა არსებული სიცარიელები, უსწორმასწორობები კედელში და ა.შ. მეორე ფენა გამოყენებული უნდა იქნას მასალის სასურველი სისქის მისაღწევად, რომელიც შემდეგ შეიძლება მოპირკეთებული იქნას შესაბამისი მეთოდებით.

### **მასალის გამოყენების შემდგომი დამუშავება:**

ASCORET-BIS-5/40 მასალის დადების შემდეგ აუცილებელია ცემენტის ხსნარის ზედაპირის დაცვა ზედმეტად სწრაფი გაშრობისგან შესაბამისი ზომების მეშვეობით, როგორცაა დანამვა მინიმუმ 3-5 დღის მანძილზე წყლის ორთქლის გაფრქვევით ან სველი ჯუთის ქსოვილის ან სხვა სახის საფარის გამოყენებით. საფარი ისე უნდა დამაგრდეს, რომ ჰაერი არ მოძრაობდეს მის ქვეშ. შემდგომ დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მაშინ, როდესაც ცემენტის ხსნარის ზედაპირზე პირდაპირ მოქმედებს დღის სინათლე, ორპირი ქარი, დიდი ტემპერატურული ცვლილებები და/ან დაბალი ტენიანობა. თუ დაგეგმილი გაქვთ მინერალური წყალგაუმტარი ჰიდრონარევის გამოყენება, მისი დასხმა შეიძლება დაახლოებით 24 საათის შემდეგ - გამოყენების შემდგომი დამუშავების ალტერნატიული მეთოდის სახით.

### **მნიშვნელოვანი რჩევები:**

- ბეტონის აღდგენითი სამუშაოების დაწყებამდე ფაქტობრივი მდგომარეობა, როგორც წესი, შეფასებული უნდა იქნას სპეციალისტის და/ან ინჟინერ-მშენებლის მიერ. სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე ტესტირების შედეგები უნდა იქნას გათვალისწინებული.
- დაიცავით ის ზონები, რომლებზეც ცემენტის ხსნარი არ უნდა იქნას გამოყენებული, ASOCRET-BIS-5/40 მასალის ზემოქმედებისგან.
- ASOCRET-BIS-5/40 ცემენტის ხსნარის, რომელმაც უკვე დაიწყო გამყარება, განახლება არ შეიძლება წყლის ან ახალი ხსნარის დამატებით, ვინაიდან არსებობს ხსნარის არასწორი სიმლიერის ჩამოყალიბების რისკი.

- გამოყენების ფორმები, რომლებიც დეტალურად არ არის განმარტებული წინამდებარე ტექნიკურ სპეციფიკაციაში, განხორციელებული უნდა იქნას მხოლოდ SCHOMBURG GmbH ტექნიკური მომსახურების განყოფილებასთან კონსულტაციის და მისი წერილობითი დასტურის შემდეგ.
- დაიცავით შესაბამისი რეგულაციები და მითითებები.

დაიცავით ევროკავშირში მომქმედი ქიმიური პროდუქციის უსაფრთხოების სპეციფიკაცია.

**GISCODE: ZP 1**

---

წინამდებარე ტექნიკური სპეციფიკაცია ნათარგმნია გერმანული ენიდან და არ ითვალისწინებს ადგილობრივ სამშენებლო კოდექსებს თუ სამართლებრივ მოთხოვნებს. დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტის მხოლოდ ზოგადი რეფერენციის სახით. სამართლებრივად სავალდებულოა მხოლოდ უახლესი გერმანული ტექნიკური სპეციფიკაცია ან უახლესი ტექნიკური სპეციფიკაცია ჩვენი ერთ-ერთი უცხოური ფილიალიდან, რომელიც ჩვენს სავაჭრო ტერიტორიაზე მდებარეობს.